ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6732255

ნომერი: AR1991821

თარიღი : 06.10.2023

გაცემის თარიღი : 27.10.2023

გაცნობის თარიღი : 31.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე კოკოლაშვილი პ/ნ 01008017172
- ო. ლორთქიფანიძის ქ. #1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 06/10/2023 წლის AR1991821 განცხადებით მომართა მოქალაქე ეკატერინე კოკოლაშვილმა და მოითხოვა , ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთის კონფიგურაციასა და საკადადასტრო გეგმასთან დაკავშირებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ, ქ.თბილისში, თ.ერისთავის ქუჩა N2/4-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.06.002.009, ფართობი: 5667კვ.მ) მრავალფუნქციური ცენტრის (სავაჭრო, საგამოფენო, საოფისე) განთავსების მიზნით დადგინდა ქალაქთმშენებლობითი პირობები. ქ. თბილისის

მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 სექტემბრის #3701 ბრძანებით, N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში შევიდა ცვლილება და დაფიქსირდა საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N01/13/06/002/030, ფართობი:10810 კვ.მ).
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 აპრილის №2534295 ბრძანებით, ისე შევიდა ცვლილება ხსენებულ ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდა განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: 01.13.06.002.057, ფართობი: 10810 კვ.მ).
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.08.2017 წლის №3469179 ბრძნებით ისე შევიდა ცვლილება ხსენებულ ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდა განახლებული საკადასტრო გეგმა(საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.069, ფართობი: 10810 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: N882017576279, თარიღი 30/06/2017) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი:N 882017576279; 30/06/2017).

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია , ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის განახლებული კონფიგურაციისა და საკადასტრო გეგმის დაფიქსირება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება , ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის , ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული კონფიგურაცია და საკადასტრო გეგმა (ს.კ 01.13.06.002.082, განცხადების ნომერი: 882023185447- მომზადების თარიღი 16/03/2023). ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განცხადების ნომერი: 882023185447 - მომზადების თარიღი 16/03/2023), დაზუსტებული ფართი 12250.00 კვ.მ.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის , ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში მიწის ნაკვეთის ნამატი ფართის პოტენციალის ათვისების გარეშე.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს, ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.